



პროექტის შემაჯამებელი ანგარიში: "ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა"

2019 წლის 15 აპრილს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) პროექტის - **ილსანვდომობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** - საბოლოო ანგარიში წარადგინა.

პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ მსხვერპლთა სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით სამართლებრივი დახმარება 7000-მდე მსხვერპლმა მიიღო, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია გაიარა 2500-მდე მსხვერპლმა, ხოლო პროფესიული განათლება მიიღო 71-მა ბენეფიციარმა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რომელიც დაინერგა პრობაციის სააგენტოსა და 2 პენიტენციურ დაწესებულებაში. საპილოტე 6 თვიანი პროგრამა წარმატებით განხორციელდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტის განხორციელების პერიოდში **მომზადდა 5 სხვადასხვა კვლევა:**

- „ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ ფაქტორები“;
- „გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების სტანდარტები“;
- ნ **ქ** შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი ასპექტები“;
- „ბავშვის მიმართ ძალადობა“;
- **ქ** და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში“.

კვლევებმა აჩვენა, რომ აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- გაჩნდეს ცალკე ჩანაწერი კონსტიტუციაში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით;
- ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების გახშირების გამო, გადასახედია სისხლისსამართლებრივი სანქციების გამკაცრების საკითხი;
- დასახვეწია კანონმდებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხთან დაკავშირებით;
- აუცილებელია გატარდეს და შემუშავდეს მედიის მიერ სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკა;
- საჭიროა პედაგოგების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებისა და ფაქტზე რეაგირების შემთხვევების მიმართულებით;
- მნიშვნელოვანია გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა ბუნების გამოკვლევა, მსხვერპლთა დაცვის ქმედითი მექანიზმების შექმნა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქალებისა და გოგონებისთვის;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის ფაქტების გაცხადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან, რადგან:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ვერ ახერხებენ, პოლიციისთვის ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით დროულად მიმართვას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით აღებული ვალდებულებების შესახებ;
- პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების და გოგონების რეაბილიტაციის საკითხი. ფაქტობრივად, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო ცენტრები, რომელიც მიიღებენ ძალადობის მსხვერპლს.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამები საჭიროებს დახვეწასა და ცვლილებებს.

პროექტის განხორციელების ეტაპზე, დაიგეგმა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია #ილაპარაკე. საინფორმაციო კამპანია მასშტაბურ მუსიკალურ ფესტივალზე გაიხსნა. #ილაპარაკეს ფარგლებში მომზადდა ვიდეო რგოლები. კამპანიის ფარგლებშივე გამოიფინა ფოტოები. **ჯამში კამპანიის შესახებ ინფორმაცია მილიონზე მეტ ადამიანს მიწვდა.**

გემოაღნიშნული საკითხები იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელიც პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა. ამ საკითხებზე მუშაობას საია მომავალშიც განაგრძობს.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.